ქ. ფოთის სკოლისგარეშე სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 17 მარტი, 2015 წელი

პრეამბულა

საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, სწავლების ინტეგრირების, აკადემიური პროგრამების ხარისხის ამაღლების და დაახლოების პრაქტიკული განხორციელების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და ქ. ფოთის სკოლისგარეშე სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი თანამშრომლობაზე შემოქმედებით და სასწავლო-აკადემიურ საკითხებში.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი მუშაობისა და აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- სასწავლო-შემოქმედებითი ბაზების ერთიანი ქსელის შექმნას;
- სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკისათვის ხელშეწყობას;
- ერთობლივი შემოქმედებითი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას ერთობლივი პროექტების მომზადების, განხორციელებისა და აუცილებელი რესურსების მომზადების მიზნით.

1.2. ქ. ფოთის სკოლისგარეშე სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უზრუნველყოფს:

- ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის საგამოფენო დარბაზის გამოყენებას წინასწარი შეთანხმებით და სასწავლო შემოქმედებითი პროექტების განხორციელებისათვის.
- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების პრაქტიკის გავლას.

1.3. ხელოვნების უნივერსიტეტის ხელს შეუწყობს ქ. ფოთის სკოლისგარეშე სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელს:

- უნივერსიტეტის შენობაში განახორციელოს შემოქმედებითი პროექტები, გამოფენები, სასწავლო-სამეცნიერო სემინარები და სხვა ღონისძიებები.
- ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები (რეჟისორები, მხატვრები, დიზაინერები) საჭიროების შემთხვევაში სასწავლებლის დირექციის მომართვის საფუძველზე ანაზღაურების გარეშე დახმარებას და კონსულტაციებს გაუწევენ სასწავლებელს (გამოფენის მომზადება, მოსწავლეთა თეატრალიზებული წარმოდგენა, ვიდეოგადაღება, კონცერტის, კონკურსის რეჟისურა და სხვ.) შემოქმედებითი პროექტების მომზადებასა და ჩატარებაში.

1.4. განახორციელებენ ერთობლივ გამოფენებს, სემინარებს, კონფერენციებს და სხვა შემოქმედებით პროექტებს.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეული მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირდება ორმხრივი შეთანხმებით.

2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.

3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირები გადაეცემა მხარეებს.

ქ. ფოთის სკოლისგარეშე სახელოვნებო
სამხატვრო სასწავლებლის დირექტორი — მ. კორკელია

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი — ე. მესხია